F 46/1/-634
267
15
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

კვირა, 10 იანვარი, 1943 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 1 (357). ფასი 30 კაპ.

ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობისათვის

ფრონტზე და ზურგში მოპოებული ახალი დიდი წარმატებით შეხვდა ჩვენი სამშობლო, საბჭოთა ქვეყანა ახალ წელიწადს. სტალინგრადის მისადგომებზე ჩვენი ჯარების ექვსი კვირის შეტევის შედეგებზე საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს მიერ გამოქვეყნებული ცნობა აძლიერებს ჩვენს ხალხში საბჭოთა ქვეყნის უძლეველობის რწმენას, ურყევ რწმენას მტერზე საბოლოო გამარჯვებისა და აღაფრთოვანებს მას ახალი საგმირო საქმეებისათვის ბრძოლისა და შრომის ფრონტზე. ექვსი კვირის განმავლობაში მტრის 35 დივიზიის განადგურება, გარემოცვის რკალში მტრის 22 დივიზიის მომწყვდევა, უამრავი სამხედრო ტექნიკის განადგურება და მტრის დიდძალი საჭურვლის ხელში ჩაგდება, — ყოველივე ეს ისეთი გამარჯვებაა, რომლის მსგავსიც ძალიან ცოტა ახსოვს დიდი ომების ისტორიას. როგორც საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი **კალინინი** თავის საახალწლო გამოსვლაში აღნიშნავს, დღეს ჩვენი ქვეყნისათვის სამხედრო მდგომარეობა უფრო ხელსაყრელია, ვიდრე იგი გასული წლის ამავე დროს იყო, თუმცა ჩვენი არმია მტერს მაშინაც სერიოზულ ტკივილებს აგემებდა. ეს მდგომარეობა თავის თავად არ შექმნილა, იგი არის ნაყოფი საბჭოთა ხალხის გაუტეხელი ნებისყოფისა, ნაყოფი მისი სამხედრო ნიჭისა, სამხედრო ხელოვნებისა, მისი მეომრული სიმამაცისა, ნაყოფი მისი უაღრესად დაძაბული თავდადებული შრომისა.

როგორც ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანო „პრავდა“ ამბობს, ხალხი-მეომარი იბრძოდა ფრონტზე, იგერიებდა მტრის გააფთრებულ იერიშებს, სპობდა მის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას, ამზადებდა ახალ გამანადგურებელ დარტყმას მტრის წინააღმდეგ, ხოლო ხალხი-მშრომელი ზურგში ჰქმნიდა ახალ სამრეწველო ბაზებს, გადაჰქონდა ძველი ქარხნები და აშენებდა ახალ ქარხნებს. მთელი მსოფლიოს აღტაცებულ თვალთა წინაშე გამოაჩინა თავისი ახალი ძალა სტალინურმა ურალმა, რომელიც გადაიქცა არსენალად, სამჭედლოდ ყველა სახის და გვარეობის იარაღისა ჩვენი წითელი არმიისათვის. ასეთსავე უმაგალითო შემოქმედებითმა აღფრთოვანებამ მოიცვა საბჭოთა კავშირის ყველა ოლქი და რესპუბლიკა.

გასული წლის მანძილზე საბჭოთა ხალხმა დიდი სახელი მოიხვეჭა. „მან მოიხვეჭა იგი შრომითი საქმეებითაც და მეომრული საგმირო საქმეებითაც და ეს სახელი ჰქუხს მთელს მსოფლიოში“ („პრავდა“).

საბჭოთა მწერლობა ამ სახელოვანი ხალხის მწერლობაა. ეს გარემოება ავალებს მას იყოს თავისი ხალხის შესაფერი და ღირსი მწერლობა. მთელი მოწინავე მსოფლიო, მთელი კულტურული კაცობრიობა საბჭოთა მწერლობისაგან მოელის, რომ მან ღირსეულად ასახოს ის იდეური და მორალური თვისებები საბჭოთა ხალხისა, რომლებმაც გაუძლეს ბარბაროსი და მუხანათი მტრის დაჯავშნული ურდოების გიგანტურ მოწოლას და მოამზადეს ნიადაგი მტრის საბოლოო მოსპობის და განადგურებისათვის.

ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ, **ლენინ-სტალინის** პარტიის ხელმძღვანელობით წარმოებულმა ბრძოლამ და შრომამ ჩვენს ქვეყანაში აღზარდა ახალი ადამიანი, აღზარდა ახალი ხალხი, რომელსაც აღმოაჩნდა არნახული შემოქმედებითი ნიჭი და დაძაბული შრომით მოპოებული თავისი ნაყოფის, თავისი ნაამაგარისა და ნალვაწის დაცვის არაჩვეულებრივი უნარი. მთელი მოწინავე კაცობრიობა საბჭოთა მწერლობისაგან მოითხოვს, რომ მან თავის წიგნებში გამოაჩინოს სწორედ ეს ხალხი, ამ ახალი ხალხის მოწინავე ადამიანები. თვით საბჭოთა მკითხველიც მოითხოვს, რომ მისი ლიტერატურა არა მარტო იდეურად, არამედ მხატვრულადაც უმაღლეს დონეზე იდგეს მთელს მსოფლიოში.

ჩვენი მწერლობის სასიცოცხლო საქმეა, მისი შემდგომი ზრდისა და აღმავლობის აუცილებელი პირობაა, რომ იგი უფრო მეტად დაუკავშირდეს თავის წარმომშობ და აღმზრდელ ბუმბერაზ საბჭოთა ხალხს, იქონიოს მასთან განუწყვეტელი საქმიანი ურთიერთობა, იყოს მასთან განუშორებლად გიგანტურ ბრძოლასა და შრომაში. მხოლოდ ეს მისცემს აუცილებელ საზრდოს მწერალთა მხატვრულ შემოქმედებას და აღჭურავს მას იმ ახალი ხარისხით, რომელიც უნდა ახასიათებდეს გრანდიოზული ომის მძაფრ განსაცდელში გამოვლილი ხალხის ლიტერატურას.

ჩვენი ლიტერატურის შემდგომი ზრდისა და აღმავლობის მეორე პირობას წარმოადგენს მოურიდებელი გამომჟღავნება იმ ნაკლისა და სუსტი მხარეებისა, უკანასკნელი წლების ჩვენს ლიტერატურულ პროდუქციას რომ ახასიათებს. ჩვენ უნდა ვიყოთ სამართლიანად მკაცრნი საბჭოთა მწერლის ყოველი ნაწარმოებისადმი. იმ ხალხის მწერლობას, რომელმაც კაცობრიობას მეომრული და შრომითი გმირობის სასწაულები უჩვენა, უფლება არა აქვს რაიმე შეღავათები მოითხოვოს. საბჭოთა მწერლობა მოწოდებულია შეჰქმნას ახალი ეტაპი მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაში. ამ მოწოდებას იგი ვერ შეასრულებს, თუ უაღრესად მკაცრი საზომით არ მიუდგა ყველა იმ ნაწარმოებს, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა ხალხის გიგანტური ბრძოლისა და შემოქმედებითი შრომის ასახვას. სწორი, მიუდგომელი, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი კრიტიკა აუცილებელია ჩვენი მწერლობის იდეური და მხატვრული ზრდისათვის. ჩვენდა სასიხარულოდ უნდა ითქვას, რომ ამის შეგნება თანდათან მტკიცდება საქართველოს საბჭოთა მწერლებს შორის. ამას ცხადჰყოფენ ის თათბირები და დისპუტები, რომლებიც გასული წლის დამლევს მოეწყო მწერალთა კავშირში, რომლებმაც დაუფარავად, მოურიდებლად სააშკაროზე გამოიტანეს ჩვენი მხატვრული პროდუქციის ნაკლი და რომლებმაც მოგვცეს უტყუარი ნიშნები გარდატეხისა მხატვრულ ნაწარმოებთა ობიექტური შეფასების საქმეში.

მწერალთა მთელი კოლექტივის უპირველესი და გადაუდებელი ამოცანაა — გააძლიეროს და გააღრმავოს მხატვრული პროდუქციის ბოლშევიკური კრიტიკა და ამით მოამზადოს ნიადაგი ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობისათვის, ჩვენი ეპოქის და ჩვენი მამაცი ხალხის შესაფერი და ღირსი ლიტერატურის შექმნისათვის.

„ხიშტით და კალმით“

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებამ გამოსცა სამი ნომერი ლიტერატურული პლაკატებისა „ხიშტით და კალმით“. № 1 პლაკატზე მოთავსებულია **ი. გრიშაშვილის** ლექსი: „1943“, № 2 პლაკატზე — **ა. მაშაშვილის** ლექსი: „მშობლიური უკრაინა“ და № 3 პლაკატზე — **ა. აბაშელის** ლექსი: „უკანასკნელი საათი“.

სამივე პლაკატი შესრულებულია ფერებით მხატვრების **ს. ნადარეიშვილისა** და **შ. ბერიტაშვილის** მიერ. გამოცემის რედაქტორია **ო. ეგაძე**.

პლაკატები უკვე გავრცელდა თბილისში. მომავალში განზრახულია ასეთივე პლაკატების გამოცემის გაგრძელება. ისინი საქართველოს რაიონებსაც დაეგზავნება.

„სიცოცხლისათვის“

24 დეკემბერს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პროზაიკოსთა სექციამ მწერალთა სასახლეში მოაწყო **ი. ლისაშვილის** ახალი რომანის „სიცოცხლისათვის“ კითხვა-განხილვა. რომანის თემაა — ახალგაზრდა ადამიანთა ზრდა საბჭოთა ხელისუფლების დროს და მათი თავდადებული მუშაობა და ბრძოლა სამამულო ომის ვითარებაში. ავტორს დასრულებული აქვს რომანის პირველი წიგნი.

ი. ლისაშვილის ამ ახალი ნაწარმოების გარშემო თავიანთი აზრი გამოსთქვეს რ. გვეტაძემ, ლ. ქიაჩელმა, შ. რადიანმა, გ. ქიქოძემ, ს. კლდიაშვილმა და სხვ.

სიტყვებით გამოსულმა მწერლებმა აღნიშნეს ი. ლისაშვილის ამ ახალი რომანის აქტუალობა, მისი მხატვრული ღირსებები, იმავე დროს მიუთითეს იმ დეფექტებზე, რომელნიც ავტორმა უნდა გამოასწოროს.

მწერალთა კავშირის სექციებმა წინასწარ, დაბეჭდვამდე მხატვრულ ნაწარმოებთა ამგვარ განხილვას სისტემატური ხასიათი უნდა მისცენ, იგი დიდად დაეხმარება ჩვენს ავტორებს.

გამარჯვების წელი

ალექსანდრე აბაშელი

ცეცხლის ისარმა გადაჭრა ღამე
და ცას გაავლო ელვარე ზოლი.
უკანასკნელი აენთო წამი
და გმირულ დღეთა შეიკრა რგოლი.

წავიდა რისხვით აღსავსე წელი,
წელი ვაჟკაცურ თავგამეტების,
ჩვენი ძალის და სიმტკიცის მზრდელი
და დამმარხველი მტრის იმედების.

უფრო მრისხანე და ულმობელი,
ბრძოლებში დამწვარ დღეთა შემცვლელი,
მოდის მსოფლიოს ხანძრის მქრობელი
ცხრაას ორმოცდა მესამე წელი.

მოდის სასტიკი შურისმგებელი,
მტრის შემზარავი და შემაძრწოლი.
მოდის მებრძოლი და მსჯავრმდებელი,
მოაქვს ხმალი და მოაქვს სასწორი.

მას ყველაფერი აღნუსხული აქვს,
რაც ყაჩაღებმა აქ ჩაიდინეს:
რამდენი მსხვერპლი დამარხულია,
რამდენი დედა მწარედ ქვითინებს.

ყოველი წვეთი მართალი სისხლის,
უმანკო ცრემლის წვეთი ყოველი,
არის სათავე წყრომის და რისხვის
და შურისძიების არის მთხოველი.

წელს მტრის მახვილი უნდა გადატყდეს! —
ეს გასული წლის არის ანდერძი.
ვოლგის ამაგიც ამას ღაღადებს
და სტალინგრადის შარავანდედი.

ამას ჰკივიან ჭაღარა მთებიც
და მათ ბანს აძლევს კლდე-დარიალი.
ამას მოითხოვს დონის და თერგის
შეთანხმებული ბრძოლის გრიალი.

ამას ამტკიცებს სამშობლოს ხმალი
და გმირთა ბრძოლა დაუცხრომელი,
ამას ამტკიცებს ბელადის თვალი
და მისი სიბრძნე შეუცდომელი.

თუმც შედრკა მტერი, ჯერ ჩვენ წინ არის
კიდევ აღმართი დიდი ბრძოლების,
ჯერ კიდევ მოჰქუხს სისხლის მდინარე
და თოვლი ჰყვავის წითელ ზოლებით.

ჩვენ ამ აღმართზე განვაგრძობთ ასვლას,
და ჩვენს გმირებთან ერთად მეც ველი,
რომ გამარჯვების აანთებს ვარსკვლავს
ცხრაას ორმოცდა მესამე წელი.

1943 წელი, 1 იანვარი.

ნიკოლოზ შენგელაია

უეცარმა და ნაადრევმა სიკვდილმა საბჭოთა კინემატოგრაფიის მოწინავე ოსტატთა რიგებს გამოსტაცა დიდი შემოქმედებითი ენერგიისა და ცხოველი ტემპერამენტის ხელოვანი — ნიკოლოზ შენგელაია. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მან მშობლიური ხელოვნების, ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის აღმავლობისათვის ბრძოლასა და მოღვაწეობაში გაატარა.

მის მკერდში მგზნებარე პატრიოტის წრფელი და კეთილშობილი გული სძგერდა. მისი გონება მუდმივად მიისწრაფოდა მხატვრული კულტურის ახალი გზების გაკაფვისა და განმტკიცებისაკენ. მთელი მისი შემოქმედება ორიგინალურობით, მკაფიო ინდივიდუალობით იყო აღბეჭდილი.

თავისი შემოქმედებითი ცხოვრება ნიკოლოზ შენგელაიამ პოეტური მოღვაწეობით დაიწყო. ქართული საბჭოთა ლიტერატურის ფორმაციის წლებში იგი ჭაბუკური გატაცებით მუშაობდა ქართული მხატვრული მეტყველების დარგში.

შემდეგ თავისი ნამდვილი მოწოდება მან კინოხელოვნებაში ჰპოვა, და სწორედ ჩვენი ნაციონალური კინემატოგრაფიის აღმოცენება-განვითარების პირველსავე წლებში გამოიჩინა თავი, როგორც კულტურის ამ დარგის თვალსაჩინო ოსტატმა.

ამ პერიოდში შეჰქმნა მან თავისი შესანიშნავი ფილმი „ელისო“, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ახალგაზრდა ქართული კინოხელოვნების საუკეთესო შემოქმედებითი ტრადიციების გამომუშავების საქმეში. ამ ფილმით ნიკოლოზ შენგელაიამ ერთბაშად დაიკავა საპატიო ადგილი საუკეთესო საბჭოთა კინორეჟისორებს შორის, როგორც საკუთარი სტილის, მდიდარი ფანტაზიისა და მახვილი გემოვნების ხელოვანმა.

„ელისოს“ მოჰყვა ფილმების მთელი წყება: „26 კომისარი“, „ნარინჯის ველი“. საბჭოთა საქართველოს არსებობის 20 წლისთავზე მან შეჰქმნა თავის აღორძინებულ სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით შთაგონებული დიდი დოკუმენტალური ფილმი „საბჭოთა საქართველო“. უკანასკნელად იგი მუშაობდა ახალი ფილმის შესაქმნელად საბჭოთა ხალხის დიად სამამულო ომის თემაზე.

მთელს ამ დაუცხრომელ შემოქმედებითს მუშაობაში იწრთობოდა და ყალიბდებოდა მისი მძლავრი შემოქმედებითი ინდივიდუალობა, რომლისგანაც კიდევ ბევრ წარმატებას მოელოდა ჩვენი ქვეყანა.

ფართო და მრავალფეროვანი იყო მისი ინტერესებისა და მისწრაფების სფერო. იგი მუდმივად სცხოვრობდა მშობლიურ ლიტერატურის, თეატრის, მთელი საბჭოთა კულტურის სასიცოცხლო ინტერესებით. იგი იყო აქტიური მონაწილე ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი მნიშვნელოვანი მოვლენისა.

ჩვენმა ხალხმა და ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასა იგი. იგი იყო სტალინური პრემიის ლაურეატი და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. საქართველოს მშრომელებმა იგი აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. ნ. შენგელაია დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით.

ღრმა გულისტკივილს იწვევს ნ. შენგელაიას გარდაცვალება ყოველი საბჭოთა პატრიოტის გულში. მისი სახით ჩვენ დავკარგეთ გულისხმიერი ამხანაგი და თვალსაჩინო ოსტატი ქართული ხელოვნების ფრონტისა.

ლეო ქიაჩელი, ს. ჩიქოვანი, შ. დადიანი, ალიო მაშაშვილი, გ. ლეონიძე, კ. გამსახურდია, ი. აბაშიძე, ი. მოსაშვილი, გ. ქიქოძე, კ. ლორთქიფანიძე, შ. რადიანი, ბ. ჟღენტი, დ. შენგელაია, შ. აფხაიძე, ა. გაწერელია, ს. კლდიაშვილი, რ. გვეტაძე, ლ. ასათიანი, ვ. წულუკიძე, გ. აბაშიძე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

26 დეკემბერს გაიხსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების IX სამეცნიერო სესია, მიძღვნილი **ნიკოლოზ ბარათაშვილის** დაბადების 125 წლისთავისადმი.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარემ აკად. **გ. ახვლედიანმა**.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე „მოქცევაი ქართლისაის“ შედგენილობა, წყაროები და ეროვნული ტენდენციები“ მოხსენებით გამოვიდა აკად. **კ. კეკელიძე**. „მოქცევაი ქართლისაი“ — სთქვა მომხსენებელმა, — [illegible]

აკად. **კ. კეკელიძის** ფრიად საყურადღებო მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია მეცნიერებს შორის.

მოხსენება თემაზე — „ხოსროვ-შირინიანის ქართული ვერსიები“ — გააკეთა პროფ. **ა. ბარამიძემ**. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქართულ ენაზე მოიპოვება „ხოსროვ-შირინიანის“ ორი პროზაული ვერსია, [illegible]

პროფ. **ა. ბარამიძის** მოხსენება შეიცავდა მრავალ ახალსა და საყურადღებო მოსაზრებას.

რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა **გ. კიკნაძემ** წაიკითხა მოხსენება: „ბუნების გრძნობა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“. [illegible]

ამავე სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **ქ. სიხარულიძე**. [illegible] მედ მეზობელი ქვეყნებიდანაც: სომხები, ადერბაიჯანელები და სხვები. [illegible]

28 დეკემბრის სხდომაზე მოსმენილ იქნა სამი მოხსენება. აკად. **არნ. ჩიქობავამ** წაიკითხა მოხსენება თემაზე [illegible]

პროფ. **კ. დონდუას** მოხსენების თემა იყო [illegible] **შ. ამირანაშვილმა**.

29 დეკემბრის სესიის სხდომა მთლიანად მიეძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებას.

რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა **შ. რადიანმა** გააკეთა მოხსენება თემაზე: „ნიკოლოზ ბარათაშვილი და ქართული რომანტიზმი“. [illegible]

რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის [illegible] „მერანი“ [illegible]

სხდომა დამთავრდა პროფ. **გ. წერეთლის** მოხსენებით: [illegible]

აკად. **გ. ახვლედიანის** მოკლე დასკვნითი სიტყვით [illegible]

დისპუტი კონსტანტინე გამსახურდიას რომანის „დავით აღმაშენებლის“ გარშემო

დისპუტი კონსტანტინე გამსახურდიას ტრილოგიის „დავით აღმაშენებლის“ პირველი წიგნის გარშემო დაიწყო 27 და დამთავრდა 30 დეკემბერს.

დისპუტმა დიდძალი მკითხველი საზოგადოება მიიზიდა. გაიხსნა იგი ამხ. **ირაკლი აბაშიძის** შესავალი სიტყვით.

— კ. გამსახურდიას რომანი „დავით აღმაშენებელი“,—სთქვა ამხ. ი. აბაშიძემ,—მკითხველი მასების ცხოველ ინტერესს იწვევს არა მარტო იმიტომ, რომ მასში ასახულია საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი პიროვნება, არამედ იმიტომაც, რომ რომანი აშკარავებს მისი ავტორის მიერ ისტორიული მასალის საფუძვლიან შესწავლას, ისტორიული პროცესების, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ღრმა ცოდნას. რომანი აყენებს დიდი საზოგადოებრივი და ლიტერატურული მნიშვნელობის აქტუალურ პრობლემებს, სახელდობრ, ისტორიული რომანის პრობლემას და საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილი და მისაღებია ის ენობრივი არქაიზაცია, რომელსაც კ. გამსახურდია მიმართავს თავის შემოქმედებითს პრაქტიკაში, კერძოდ, ამ რომანში. დისპუტის მიზანია გასცეს პასუხი ამ კითხვებს, გამოარკვიოს, რაა მისაღები და რა უარსაყოფი კ. გამსახურდიას ახალ ნაწარმოებში, რომ ამით დაეხმაროს მას რომანზე შემდგომი მუშაობის დროს.

ბ. ჟღენტის მოხსენება

ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“ უაღრესად აქტუალურ მოვლენას წარმოადგენს. ეს რომანი მრავალსაუკუნოვანი ქართული ისტორიის შესანიშნავ ეპოქას ასახავს, ეპოქას, რომელმაც უშუალოდ შეამზადა ნიადაგი ძველი საქართველოს ოქროს ხანის ამობრწყინებისათვის და სრული საფუძველი მოგვცა დღევანდელი დიდი სამამულო ომის მონაწილე ქართველებს, სიამაყით შევსცქეროდეთ ჩვენს წარსულს. მწერალს დიდის გულმოდგინეობით შეუსწავლია ისტორიული მასალა და ღრმად გაუცდია იგი. წიგნი იწყება მეფისწულის დავითის პირველი ძლევამოსილი ლაშქრობის აღწერით და თავდება ლიპარიტ ორბელიანის ციტადელის—კლდეკარის ციხის აღებით, ამ გულზვიადი მოღალატე ფეოდალის ხანგრძლივი ურჩობისა და ქიშპობის მოდრეკით. ამ ორ ეპიზოდს შორის გადაშლილი ფართო მხატვრული პანორამა ცხოვლად და მრავალფეროვნად გვიხატავს ისტორიულ გარემოცვას, ეპოქის ხასიათს, მის მატერიალურ შინაარსს, ისტორიის სარბიელზე გამოსულ მოწინააღმდეგე ძალთა ურთიერთობას, ყოფა-ცხოვრებას, ადათ-ჩვევებს და რიტუალებს. ციხე-სასახლეთა შინაგანი ცხოვრების აღწერისას, ბატალური სურათების თუ ყოფაცხოვრებითი სცენების დახატვისას, მეფეთკურთხევის ცერემონიალის, ნადირობის, მოლხენა-პურობის, ბერ-მონოზანთა ასკეტიური ყოფის გადმოცემისას კ. გამსახურდია იჩენს მხატვრული აღწერილობის, სურათის ღრმა კოლორიტულობის და სიცხოვლის ძალას. მწერალი ჰქმნის მკაფიოდ გამოკვეთილ სახეების მდიდარ გალერეას. ავტორი ცოცხლად, მეტყველად, ადამიანის ინდივიდუალური ხასიათის გამოკვეთის დიდი ოსტატობით გვიხატავს არა მარტო მთავარ პერსონაჟებს—დავითსა და დედისიმედს, არამედ გიორგი მეორეს, გიორგის უკანონო ძმას მახარიას, ბიზანტიის ორი კეისრის ცოლყოფილს მარიამს, დედოფალ რუსუდანს, ლიპარიტ და რატი ორბელიანებს, შამან ერისთავს, მის ასულს გვანცას, დედისიმედის გამზრდელს ხორეშანს და სხვა ეპიზოდურ პერსონაჟებს. მწერალი ამჟღავნებს ადამიანის სულიერი ცხოვრების სიღრმეში ჩაწვდომის ძალას.

„დავით აღმაშენებელი“ ისტორიული ჟანრის რომანია, მის მთავარ გმირებს ისტორიული პირები შეადგენენ. ამბავთა თანმიმდევრობაც ცნობილ ისტორიულ მოვლენათა მსვლელობას მიჰყვება, მაგრამ მწერალი არა ზღუდავს თავის მხატვრულ ქმნილებას მარტოოდენ ისტორიული ფაქტებით. იგი თხზავს რომანული ხასიათის ფაბულას, რომელიც ამ ნაწარმოების სიუჟეტის საფუძველს შეადგენს. ემყარება რა ერთი სომეხი ისტორიკოსის ცნობას, თითქოს დავითს, ყივჩაღთა მეთაურის ასულის შერთვამდე, ცოლად ჰყოლოდეს სომეხთა ერთ-ერთი მთავრის ქალი რუსუდანი, რომანი მოგვითხრობს, რომ გამეფების შემდეგ დავითი განშორდა რუსუდანს და გადასწყვიტა დედისიმედის ცოლად შერთვა, მაგრამ დედისიმედის მამა ლიპარიტ და ძმა რატი ორბელიანები საქართველოს მეფის უბოროტესი მტრები და მოღალატეები იყვნენ. ამ ოჯახის დათრგუნვა კი შეადგენდა დავითის სახელმწიფოებრივი გეგმების ერთ-ერთ აუცილებელ ნაწილს.

იბადება პრინციპიალური ხასიათის საკითხი, რამდენად მიზანშეწონილია ისეთ დიდ ისტორიულ პიროვნებას, როგორიც დავით აღმაშენებელია, რომლის ყოველი ნაბიჯი დიდი სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით განიზომება, თავზე მოახვიოს მწერალმა შეთხზული, ისტორიულად არარსებული თავგადასავალი. ხომ არ არღვევს ეს კლასიკური და თანამედროვე ისტორიული რომანის ტრადიციას—დიდ ისტორიულ პიროვნებათა ბიოგრაფიისადმი ფრთხილი მიდგომის ტრადიციას? ისტორიულ პიროვნებათა შესახებ დაწერილ რომანებს აქვთ არა მარტო ესთეტიკური, არამედ ღრმა შემეცნებითი მნიშვნელობაც, რამდენადაც ისინი ეხმარებიან ხალხს წარსულის ცხოვლად, ნათლად და სწორად გაგებაში. რამდენად ტიპიური და დამახასიათებელია ისეთ სახელმწიფო მოღვაწეს, რომელსაც ყოველი აზრი და გრძნობა სახელმწიფო ინტერესებისათვის ჰქონდა მთლიანად დამორჩილებული, უყვარდეს ქალი იმ ოჯახიდან, რომელიც ისტორიულად მტრობდა ბაგრატიონთა ტახტს? ავტორს სიუჟეტის ცენტრი დავითისა და დედისიმედის ურთიერთობის სფეროში აქვს გადატანილი. ეს ზეგავლენას ახდენს რომანის აგებულობაზე იმ მხრით, რომ თავისი შესაფერი ადგილი არ უჭირავს იმ ბრძოლასა და საქმიანობას, რომელსაც დავით აღმაშენებელი ეწეოდა თავისი ქვეყნის განთავისუფლებისა და აღორძინებისათვის. არის იმის საფრთხე, რომ სასიყვარულო თავგადასავალმა, გარემოცვის აღწერილობამ, ნადირობის, პურობის, მღვდელ-ეპისკოპოსთა ყოფა-ცხოვრების სცენებმა მეორე პლანზე გადასწიონ დავითის, როგორც სახელმწიფოს დიდი მოღვაწის სახე.

შემდეგი სადაო საკითხია, თუ რამდენად სწორია ავტორის პოზიცია ენის საკითხში. ავტორი ზომაზე მეტად ტვირთავს თხრობას არქაული ლექსიკით და დაძველებული სინტაქსიური ფორმებით. აუცილებელია თუ არა ეს ისტორიული გარემოცვის აღსადგენად, კოლორიტის მოსაცემად, ადამიანთა ხასიათების გასახსნელად, თუ ეს წმინდა ფორმალისტური მოვლენაა, რომელიც ესოდენ ამძიმებს და აძნელებს ნაწარმოების ათვისებას მასობრივი მკითხველისათვის? ასეთია მოკლედ ის სადავო საკითხები, რომლებსაც აყენებს ტრილოგიის „დავით აღმაშენებლის“ პირველი წიგნი.

მოხსენების გარშემო ფრიად გაცხოველებული პრინციპული კამათი გაიმართა. დისპუტი გაიხსნა აკადემიკოს კორნელი კეკელიძის გამოსვლით.

აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სიტყვა

ისტორიული რომანი ფრიად რთული ჟანრია. ისტორიული რომანის ავტორს მოეთხოვება არა მარტო მხატვრული ნიჭი, არამედ საფუძვლიანი მეცნიერული ცოდნაც. მით უფრო იმ ავტორს, რომელსაც განზრახვა აქვს მხატვრულად აღადგინოს XI-XII საუკუნის საქართველო, დიდ საერთაშორისო ასპარეზზე გამოსული და იმდროინდელ აღმოსავლეთისა და დასავლეთის სახელმწიფოებთან მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყანა. „დავით აღმაშენებლის“ ავტორმა გადალახა ეს სიძნელე. რომანში ასახული საერო თუ საეკლესიო ცხოვრების, დიდგვაროვანთა და რაინდთა ყოფაცხოვრების ყოველი დეტალი მოწმობს, რომ ავტორს ღრმად შეუსწავლია ისტორიული წყაროები, საარქივო მასალა და უტყუარი მხატვრული წარმოსახვით, ღრმა მეცნიერული ერუდიციით აღუდგენია ეპოქის ისტორიული პიროვნებები, ეპოქის სული. ისტორიული ნაწარმოების ავტორს უფლება აქვს გააცოცხლოს ის, რაც ისტორიას ჩვენთვის არ შემოუნახავს და ამით შეავსოს ხარვეზი ისტორიული გმირის პირად ცხოვრებაში, რომლის გამო ისტორიული წყაროები ჩვეულებრივ სდუმან. ავტორმა არ უნდა ასახოს ის, რაც ისტორიულ სიმართლესა და სინამდვილეს ეწინააღმდეგება. იმის აღდგენის უფლებას კი, რაც დოკუმენტალურად მოცემული არ არის, მაგრამ რაც შეიძლებოდა მომხდარიყო, ავტორს ვერ წავართმევთ.

ისტორიული მასალის ზუსტი შესწავლის მიუხედავად, კ. გამსახურდიას აქვს ზოგიერთი შეუსაბამობა. ანტონის სახელის მატარებელი ქუთათელი არის არა დავითის, არამედ თამარ მეფის დროინდელი სასულიერო მოღვაწე. თვეების წინანდელი წარმართული სახელები მეთერთმეტე საუკუნეში უკვე აღარ იხმარებოდა. წარმოუდგენელია აგრეთვე ფლოქვიანი (კოჭლი) ეპისკოპოსის გამოყვანა, რადგან საეკლესიო პრაქტიკის მიხედვით ასეთ დიდ სასულიერო-იერარქიულ თანამდებობაზე ნაკლის მქონე პირი არ ინიშნებოდა. გაუგებარია, რატომ კითხულობს დავითი არისტოტელეს არაბულად და არა ბერძნულად, ან უფრო მის დროს არსებულ ქართულ თარგმანში.

კ. გამსახურდია მართებულად იქცევა, როდესაც ლიტერატურულ ენას ამდიდრებს დიალექტებიდან და ძველი ლიტერატურული წყაროებიდან ნასესხები სიტყვებით. მაგრამ აქ საჭიროა ზომიერება, დიალექტს თუ არქაულ სიტყვას უნდა მიემართოთ მაშინ, როცა ის აუცილებლად საჭიროა, როცა მისი შემცვლელი არ არსებობს. კოლორიტის მოსაცემად დიალოგში შეიძლება ავტორმა თავისი პერსონაჟები ძველი ენით აამეტყველოს, მაგრამ ამ არქაულ სიტყვას ან წყობას არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიმართოს ავტორმა, როგორც ამბის მთხრობელმა. რაც შეეხება რომანის მხატვრულ მხარეს, აქ, პირველ ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ: რად დასჭირდა ავტორს ქუთათელად, ამ დიდი მნიშვნელობის პირად, რომელიც მეფეებს გვირგვინსაც კი ადგამდა, გამოეყვანა არა მარტო ფიზიკურად მანკიერი (კოჭლი), არამედ ზნეობრივადაც შეუფერებელი პირი? მეორე—ყოვლად წარმოუდგენელია, რომ კონსტანტინოპოლში ელჩად გაეგზავნათ ისეთი ხეპრე, პირდაპირ ტყიდან გამოსული პირი, როგორიცაა „მოკრივე მწყემსი“ რომანისა.

აკადემიკოს ნ. კეცხოველის სიტყვა

„დავით აღმაშენებელი“ ცხადჰყოფს მისი ავტორის ღრმა ერუდიციას. შრომის დიდ უნარს, საქმის დიდ სიყვარულს. მთელი ნაწარმოები მოგვაგონებს დიდი ხუროთმოძღვარ-ოსტატის ხელით გამოკვეთილ მონუმენტალურ ძეგლს, რომელსაც მიუხედავად დიდი ღირსებისა, აქვს ერთგვარი ნაკლიც. ავტორს ზოგ შემთხვევაში ღალატობს ზომიერების გრძნობა. როდესაც ისტორიულ პირზე ვლაპარაკობთ, ანგარიშში უნდა გავუწიოთ მარტო იმას კი არა თუ ვინ უყვარდა მას, დედისიმედი თუ გვანცა, არამედ უფრო არსებითს. მაგალითად, ისტორიულად სწორია თუ არა ყრმა, ჭაბუკი დავითი, იმ სახით, როგორიც ეს რომანის პირველ ნაწილში აქვს ნაჩვენები ავტორს? ჭაბუკი დავითი არ შეიძლება ყოფილიყო ასეთი დამთავრებული პიროვნება ინტელექტუალურად. ეს თექვსმეტი წლის ჭაბუკი ისე იქცევა თითქოს უკვე ჩამოყალიბებული სახელმწიფო მოღვაწე იყოს. ძნელი წარმოსადგენია ჭაბუკ მეფის-წულს ისეთ საპასუხისმგებლო ომში, როგორიც იყო რუსთავის ომი ასე უსიტყვოდ, ბრმად მინდობოდნენ სარდლები.

ისტორიულად ცნობილია, რომ დავითის მოღვაწეობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ის იყო, რომ მან შექმნა მსტოვართა ინსტიტუტი (საიდუმლო პოლიცია) და ჭყონდიდელის თანამდებობა ახალის გაგებით. რომანში კი დავითის გამოჩენის უმალვე ეს ორი ინსტიტუტი უკვე მოქმედებს მთელის ძალით. მაშასადამე, ისინი დავითამდე შეუქმნიათ, რაც არაა სწორი. რომანში ვერ ვხედავთ დავითის ურთიერთობას ხალხთან. დავითი მოწყვეტილია ხალხს, ხალხის ცხოვრებას. ხალხთან ურთიერთობის გარეშე კი გმირის ფორმირება წარმოუდგენელია.

რამდენიმე რეპლიკა გეოგრაფიულ გარემოს შესახებ. თუ ავტორს აქვს პრეტენზიები კონკრეტულობისა, რომ ზუსტად დაასახელოს მცენარენი, ცხოველნი, მაშინ ისინი განსაზღვრულ გარემოსათვის უნდა ჩამოკალოს მართებულად. არ შეიძლება მაგალითად, ტბა ფარავანზე ხოხბები და თრიალეთში ჯეირნები ახოცვინოს ლიპარიტს. ესენი სხვა გარემოს ცხოველნი არიან. ასეთი შეუსაბამობანი ხშირია რომანში.

სერგო კლდიაშვილის სიტყვა

„დავით აღმაშენებელი“ მიმაჩნია მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან მოვლენად. ავტორს მახვილი მხატვრული ფანტაზია ახასიათებს. წარსულის ამა თუ იმ ფაქტს იგი იმდენად დამაჯერებლად წარმოგვიდგენს, რომ ეჭვი არ გვეპარება მის სიმართლეში. ავტორის მიერ გამოგონილი ეპიზოდები ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას იმ შორეულ ეპოქაზე. შემეცნებითი მნიშვნელობა რომანისა დიდია. ავტორი ხშირად დოკუმენტებით ლაპარაკობს. რომანის მთავარი გმირები შესანიშნავად არიან მოხაზულნი. ავტორი ხანდახან კმაყოფილდება მცირე საღებავებით, მაგრამ ესეც საკმაოა მის ხელში — სახეები მეტად რელიეფურად და ნათლად წარმოსდგებიან ჩვენს წინაშე (გიორგი მეორე, მახარაი, მარიამ დედოფალი, რუსუდანი, და სხვანი), მაგრამ ავტორი ხშირად ისე ღრმად ეფლობა მოვლენებში, ისე ცდილობს ყოველის მხრიდან წარმოგვიდგინოს ესა თუ ის ფაქტი, რომ უხვევს მაგისტრალურ ხაზიდან, დაკლაკნილი ბილიკებით იწყებს სვლას. ეს გარემოება ანელებს მოთხრობის მსვლელობას, ჩვენს მიერ მიღებულ შთაბეჭდილებას, ჩვენს ყურადღებას. დიალოგი პროზაულ ნაწარმოებში დიდი მამოძრავებელი, მომქმედი ძალაა. ამ რომანში კი დიალოგი ხშირად განმარტებითია და არა მომქმედი. ის ტრამპლინი კი აღარ არის შემდეგი მოქმედებისათვის, არამედ ერთგვარი მუხრუჭი მისი განვითარებისათვის.

მიუხედავად ამისა, რომანის ლექსიკონი ისე მდიდარია, მხატვრული ღირსება იმდენად თვალსაჩინოა, რომ სიხარულით უნდა შევეგებოთ მას.

პროფესორ ალ. ბარამიძის სიტყვა

კონსტანტინე გამსახურდიას ეს ახალი ნაწარმოები ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაა თანამედროვე ქართულ მწერლობაში. იგი არა მარტო აცოცხლებს ისტორიულ წარსულს, არამედ ჩვენს წინაშე აყენებს მხატვრული შემოქმედების ფრიად აქტუალურ პრობლემებს. აქვს თუ არა ისტორიული ნაწარმოების ავტორს უფლება დაარღვიოს ისტორიული სიმართლე, წავიდეს ისტორიული ფაქტების წინააღმდეგ? ჩემის აზრით, ისტორიული ნაწარმოების ავტორისათვის ბევრი შემზღუდავი გარემოება არსებობს, მაგალითად, იმდროინდელ საქართველოში, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, შეუძლებელი იქნებოდა მეფისწული დავითის დაწინდვა ქვეშევრდომის და, მით უმეტეს, ტახტის მოსისხლე მტრის ლიპარიტ ორბელიანის ასულთან. ისტორიული სიმართლის სულის დარღვევაა აგრეთვე დედისიმედის გამოყვანა მსტოვარის როლში. ავტორს პროპორცია აქვს დარღვეული ცენტრალურ და პერიფერიულ პერსონაჟებს შორის. მახარა უფრო ხორცშესხმულად არის წარმოდგენილი, ვიდრე თვით დავითი. შეიძლება ეს იმით აიხსნებოდეს, რომ მკითხველი მოითხოვს დავითის წარმოსახვას ისეთი ძალით, როგორიც მის ისტორიულ როლსა და მნიშვნელობას შეესაბამება. კ. გამსახურდიამ ამ რომანშიაც ცხადჰყო, რომ იგი ოსტატურად ჰკვეთს ქალთა სახეებს. შესანიშნავად არიან დახატული მარიამ დედოფალი, რუსუდანი, ელენე. მაგრამ ასეთი სისრულით და სიცხოვლით არ არის მოცემული დედისიმედი.

ავტორი ხშირად იყენებს ისტორიულ რეალიებს. ეს საჭირო და აუცილებელია. თუ გვინდა დავიცვათ ისეთი სიზუსტე დეტალისა, როგორც ამას სჩადიოდა ფლობერი, ისტორიულ რეალიებს გვერდს ვერ აუხვევთ, თუმცა, როგორც ყველაფერში, აქაც საჭიროა ზომიერება. კოლორიტის გადმოსაცემად, დამახასიათებელი დიალოგის მოსაცემად არქაული სიტყვები შეიძლება ვიხმაროთ, მაგრამ ასეთ გარემოცვაში ყურს ეხამუშება ისეთი სიტყვის წაკითხვა, როგორიც არის „პერსპექტივა“ და სხვა მისთანანი.

ბორის ჩხეიძის სიტყვა

კონსტანტინე გამსახურდიამ დიდი სიძლიერით მოგვცა თავისი რომანის მთავარი ფიგურა დავით აღმაშენებელი. სავსებით ხორცშესხმულნი არიან როგორც დავითის მომხრე პირები, ისე მოწინააღმდეგე ბანაკის წარმომადგენელნი. მამაკაცების ფიგურებთან ერთად თანაბარი მხატვრული სიძლიერით არიან დახატული ქალებიც, ცნობილია ქართველი ქალის დიდი როლი საქართველოს სახელმწიფოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში, მაგრამ უკანასკნელ დრომდე ეს როლი მკვეთრად არა სჩანდა ლიტერატურაში. კ. გამსახურდიამ შეავსო ეს ხარვეზი. დავითის მამიდა, ბიზანტიელი დედოფალი მარიამი ავტორმა მაღალი სულიერი კულტურის, დიდ სახელმწიფო მოღვაწე ქალად წარმოგვიდგინა. ასევე მკვეთრად და დამაჯერებლად არის გამოკვეთილი დედისიმედი. ნაწარმოების ერთ-ერთ ნაკლად მიმაჩნია მისი არქაული ენა. ავტორი ისე სწერს, თითქოს იგი დავითის სამეფო კარის მწიგნობარი იყოს. ეს აძნელებს ნაწარმოების გაგებას.

პროფესორ შალვა ნუცუბიძის სიტყვა

კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“ სანიმუშო ისტორიული რომანია. კ. გამსახურდიამ ამ ნაწარმოებში ცხოვლად და სრული დამაჯერებლობით აღადგინა საქართველოს ისტორიის ის უმნიშვნელოვანესი პერიოდი, როდესაც იგი დიდ ისტორიულ მისიას ასრულებდა. სწორად მოიქცა ავტორი, როცა დახატა დავითი არა მარტო როგორც სახელმწიფო მოღვაწე და სარდალი, არამედ როგორც ადამიანი, აღჭურვა იგი წმინდა ადამიანური ვნებებით. ამის გარეშე ჩვენ ვერ მივიღებდით მთავარი გმირის მხატვრულად დამთავრებულ დამაჯერებულ სახეს. ავტორის უდავო დამსახურებაა აგრეთვე მარიამ დედოფლის სახის ბრწყინვალედ გამოკვეთა. მარიამის როლი და მოქმედება რომანში ცხადჰყოფს, თუ რა დიდს და მნიშვნელოვან საქმეებს აკეთებდნენ ქართველები იმდროინდელ ბიზანტიაში, თუ რამდენად მჭიდრო სახელმწიფოებრივი და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა მაშინდელ საქართველოს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ამ ნაწარმოების არქაული ენა არ მიმაჩნია ნაკლად. შეუძლებელია XI საუკუნის ადამიანები ავტორმა თანამედროვე ქართული ენით ალაპარაკოს. თუ არქაიზმს საჭიროდ ვსცნობთ დიალოგისათვის, იგი აუცილებლად უნდა ჩავთვალოთ ავტორისათვის, როგორც მთხრობელისთვისაც. არქაულ დიალოგს შესაფერი ენობრივი გარემოცვაც უნდა ჰქონდეს, არ უნდა იგრძნობოდეს უხეში წყვეტი დიალოგსა და ავტორის ენას შორის.

აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სიტყვა

ისტორიული რომანის მთავარი ამოცანაა ეპოქის სულის აღდგენა და გადმოცემა. ამ მიზნით ისტორიული ნაწარმოების ავტორს შეუძლიან შეთხზას და გამოიგონოს ისეთი პერსონაჟები, რომლებიც რეალურად არ არსებობდნენ, მაგრამ შესაძლებელია ყოფილიყვნენ. შეუძლიან აგრეთვე ისტორიულ პირს მიაწეროს ისეთი რამ, რაც ისტორიულად არ მომხდარა, მაგრამ შეიძლებოდა მომხდარიყოს. ავტორს შეუძლიან დავით აღმაშენებელი გაუმიჯნუროს თავის რომელიმე ქვეშევრდომის ასულს. მაგრამ შეუწყნარებელია დააქორწინოს მასზე, რადგან არც სახელმწიფო სამართალი და არც ტრადიცია საქართველოში ნებას არ აძლევდა მეფეს ცოლად შეერთო თავისი ქვეშევრდომის ქალი. კ. გამსახურდიას ჯერ კიდევ დავითის გამეფებამდე უფლებამოსილ სახელმწიფო მოღვაწედ გამოჰყავს მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდელი. ეს ინსტიტუტი დავითის გამეფებამდე არ არსებობდა. იგი შემოიღო დავითმა და ეს იყო მისი ერთ-ერთი უაღრესად ბრძნული სახელმწიფოებრივი ღონისძიება. არ არის სწორი, როცა ავტორი ერისთავების შვილებს უწოდებს აგრეთვე ერისთავებს. არც ისაა სწორი, რომ მეფეს ან დედოფალს აზნაურები და მესაწოლე ბერები მიწაზე გართხმით ეგებებიან. ისტორიულ წყაროებში მსგავსი ცერემონიის აღწერისას ჩვენ ასეთ ფაქტებს ვერა ვხვდებით.

აკადემიკოსი ს. ჯანაშია ჩამოსთვლის რამდენიმე ასეთ ისტორიულ უსწორობას. საერთოდ კი ავტორს დიდად გულმოდგინედ შეუსწავლია მასალა და ბევრი რამ კარგად აქვს აღდგენილი და დახატული. მაგრამ ამასთან უნდა ითქვას, რომ ავტორი უფრო უცხოურ წყაროებს ეყრდნობა, ვიდრე შინაურს, ქართულ მასალებს, რაც კერძოდ, ნომენკლატურაზე აჩენს დაღს. ორატორს მიუღებლად მიაჩნია ენის ისეთი არქაიზაცია, როგორსაც „დავით აღმაშენებელში“ ვხვდებით, კერძოდ გაუმართლებელია ძველებურად დაბოლოვებული სახელების „მახაის“, „კატაის“ ბრუნვება „ი“-ს გამოუგდებლად ირიბ ბრუნვებში (მახარაის, მახარაიმ, მახარაით და სხვა).

„დავით აღმაშენებელი“ ავტორის უეჭველ მხატვრულ ოსტატობას მოწმობს. ეს რომანი თანამედროვე ქართული მხატვრული პროზის თვალსაჩინო მიღწევაა.

აკაკი განერელიას სიტყვა

თავის ახალ რომანში კონსტანტინე გამსახურდიამ უფრო განავითარა და გააღრმავა თავისი მხატვრული მეთოდი, თავისი მანერა თხრობისა, და ამით იგი დაშორდა იმ დიდ რეალისტებს რომელთაც მხატვრული ნაწარმოების მთავარ ღირსებად სისადავე და გამჭვირვალობა მიაჩნდათ.

ისტორიული რომანი, უწინარეს ყოვლისა, მკაცრი ისტორიზმით უნდა ხასიათდებოდეს. არავითარ შემთხვევაში ისტორიულ პირს არ უნდა მივაწეროთ ის, რაც მას არ ჩაუდენია და რაც ეწინააღმდეგება მის ისტორიულ როლს.

ყოვლად შემცდარი და მიუღებელი დებულებაა, თითქოს რომელიმე მწერალს, რა დიდი შემოქმედიც არ უნდა იყოს იგი, შეეძლოს ლიტერატურული ენის შექმნა. გამოცდილება გვასწავლის, რომ მწერალი არა ჰქმნის სრულიად ახალ ენას, მას უმაღლეს ლიტერატურულ ხარისხამდე აჰყავს ხალხში არსებული ფორმები და უპირისპირებს მათ ძველს, არქაულ სიტყვებს, გამოთქმებს, სინტაქსს. ენის საკითხში ნოვატორია არა ის, ვინც ძველი ენობრივი ნორმების აღდგენას ცდილობს, არამედ ის, ვინც ამუშავებს ხალხში გავრცელებულ ფორმებს და ამით აახლებს ლიტერატურულ ენას. კ. გამსახურდიას ახასიათებს: უარჰყოს ის, რაც საყოველთაოდ გავრცელებულია და დაამკვიდროს ის, რაც იშვიათია. მას ძალიან უყვარს ზოგიერთი გრამატიკული ფორმა, მაგალითად, „ო“ ფორმა. ამ ფორმას იგი მეტად ხშირად და დამქანცავად ხმარობს ზოგჯერ ისეთ ადგილას, სადაც ამას საჭიროება არ მოითხოვს.

ეხება რა რომანის მხატვრულ მხარეს, ორატორი შენიშნავს, რომ მხატვრულობის მხრით რომანი ყველგან ერთ სიმაღლეზე არა სდგას, ზოგჯერ ავტორი ჭარბად ხმარობს ფერებსა და საღებავებს, ხშირად იმეორებს ერთსა და იმავ სცენებს (მაგ., ცხენების ჯირითი და სხვ.), რაც ტვირთავს რომანს და სიუჟეტურ ტავტოლოგიას წარმოადგენს.

სიმონ ჩიქოვანის სიტყვა

„დავით აღმაშენებლის“ გარშემო გამოსულმა მოკამათეებმა და თვით მომხსენებელმა დისკუსია მაღალ პრინციპულ დონეზე აიყვანეს. ეს აიხსნება თვით ნაწარმოების უეჭველი მაღალი მხატვრული ხარისხით და იმით, რომ იგი ჩვენს წინაშე აყენებს მხატვრული შემოქმედების ფრიად აქტუალურ პრობლემებს. პირველყოვლისა დავას იწვევს საკითხი იმის გამო, თუ როგორ უნდა იქნას მოცემული ისტორიული პიროვნება. ცხადია, ამ ნაწარმოებში ცენტრალურ ფიგურას უნდა წარმოადგენდეს დავითი, როგორც დიდი სახელმწიფო მოღვაწე. მაგრამ პირველ წიგნში დავითი როგორც სახელმწიფოს მეთაური, ისე მკვეთრად და რელიეფურად არა სჩანს, როგორც სხვა პერსონაჟები. უნდა ვიფიქროთ, რომ შემდეგ ორ წიგნში ავტორი უფრო სრული ფერებით და მეტი მხატვრული სისრულით წარმოგვისახავს დავითს, როგორც საერთაშორისო ასპარეზზე გამოსულ დიდ სახელმწიფოს შემქმნელსა და ორგანიზატორს.

რაც შეეხება ნაწარმოების ენასა და სტილს, ისტორიული ჟანრის ასეთ ნაწარმოებისათვის არქაიზაცია (არა სინტაქსის) მისაღებად მიმაჩნია იმდენად, რამდენადაც არქაული ლექსიკის გარეშე მოუხერხებელი ხდება ნივთობრივი გარემოცვის, ისტორიული რეალიების აღდგენა.

ნაწარმოებში ბევრი მეტად საგულისხმო და საინტერესო მხატვრული ეპიზოდი და პასაჟია. მათ შორის საუკეთესოდ უნდა ჩაითვალის შამან ერისთავისა და გიორგი მეფის შეხვედრის სცენა, რუსუდანის გამოთხოვება შვილთან, დემეტრესთან, მისი მონოზნად აღკვეცის სცენა და სხვ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რომანი დატვირთულია ზედმეტი აღწერილობით, სხვადასხვა ცერემონიალის დეტალიზაციით, სასახლეებისა და საკულტო აქსესუარების სიჭარბით და სხვ.

მთლიანად რომანი — მკითხველზე მძაფრ ემოციურ ზეგავლენას ახდენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეო ქიაჩელის სიტყვა

ოპონენტებმა დისპუტი კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებლის“ გარშემო მაღალ დონეზე აიყვანეს. ისტორიკოსებმა და ლიტერატურის მკვლევარებმა რომანში არა ერთი უსწორობა და შეუსაბამობა აღმოაჩინეს. ხოლო მწერლებმა შენიშნეს ლიტერატურულ-ესტეტიური თვალსაზრისით მიუღებელი და ზედმეტი ადგილები.

იმ ისტორიულ რომანს, სადაც მთავარ ფიგურად საყოველთაოდ ცნობილი პოპულარული ისტორიული პიროვნებაა გამოყვანილი, უწინარეს ყოვლისა მოეთხოვება, მახვილი იმთავითვე გმირის ხასიათის იმ ძირითად თვისებაზე გადაიტანოს, რომლის მეოხებითაც იგი დიდ ისტორიულ პიროვნებად იქცა. კ. გამსახურდია ამ პრინციპს გვერდს უხვევს. რომანის საექსპოზიციო ნაწილში, სადაც ჭაბუკი მეფისწულის მხლებელნი ლიპარიტ ორბელიანის ორგულობის და ვერაგობის მაჩვენებელ ახალ ფაქტებზე ლაპარაკობენ, მეფისწული დავითი ამ ფაქტებს ყურად არ იღებს. სრული გულგრილობით ხვდება მას და ნიანიას ეკითხება: „ნუთუ მახსენებს დედისიმედი კიდევ?“ ამ დეტალით ავტორს წინა პლანზე წამოწეული ჰყავს მეფისწული დავითი არა როგორც მომავალი დიდი სახელმწიფო მოღვაწე, არამედ როგორც სატრფიალო რომანის გმირი. აქედანვე იწყება გაორება დავითის პიროვნებისა კონსტანტინე გამსახურდიას რომანში.

ისტორიული რომანის არქაული ენით დაწერა გაუმართლებელია. ნაწარმოები თავის მხრივ დაკავშირებული უნდა იყოს იმ დროსთან, იმ ეპოქასთან, როცა ნაწარმოები იწერება. ამ დროის რიტმი და მაჯისცემა უნდა სჩანდეს ნაწარმოების სტილში, თუ ნაწარმოებში ამ რიტმს და მაჯისცემას გვერდს უხვევს და სცილდება, იგი მხოლოდ უსიცოცხლო, მკვდარ მასალად იქცევა. კ. გამსახურდიას ენა არც ძველია და არც ახალი. ის არის ძველი ენის სტილიზაცია, ხოლო სტილიზაციის გზა არ არის და არც არასოდეს ყოფილა დიდი მხატვრული პროზის გზა.

მკითხველის გაკვირვებას იწვევს „დავით აღმაშენებლის“ მეორე გამოცემაზე დართული ბოლოსიტყვაობა, სადაც ავტორი ამბობს, რომ ქართულ ქრონიკების კრებულს გვერდში ამოვუყენებ რომანების სერიას, რომელსაც თავის დროზე „ქართლის ცხოვრებას“ ვუწოდებო. გაუმართლებელია მსოფლიო ისტორიაში ცნობილი ყველა დინასტიების ისეთი ეპიტეტებით მოხსენიება, როგორიცაა უჭკუო, ჰიპოხონდრული, გარყვნილი, ბნედიანი, ექსცენტრიული და სხვა. ჩვენ ვიცით, რომ ამ დინასტიებმა კაცობრიობას მისცეს შესანიშნავი სახელმწიფო მოღვაწენი, რომლებსაც დიდი მისია დაეკისრათ ცივილიზაციის განვითარებაში და ზოგიერთმა მათგანმა დავით აღმაშენებელზე თუ მეტი არა, ნაკლები როლი არ შეასრულა.

ვანო წულუკიძის სიტყვა

„დავით აღმაშენებელში“ კონსტ. გამსახურდია დიდ ფაქტიურ მასალას ემყარება საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების მატერიალური და სულიერი კულტურის ისტორიიდან. ამ მასალის მხატვრული დამუშავებით, ავტორი, ჩემის დასკვნით, იძლევა უფრო გარეგნულ მხარეს XI საუკუნისას, ვიდრე ეპოქის სულს. ეპოქის ხასიათი, თავისებურება, ეპოქის სული უმთავრესად ხალხშია მოცემული, მის საშუალო ადამიანშია წარმოდგენილი. კლასიკური ისტორიული რომანების ავტორები ვალტერ სკოტი, ლევ ტოლსტოი, ბალზაკი და სხვები თავიანთი რომანების ცენტრალურ პერსონაჟებად ირჩევდნენ ეპოქის საშუალო ადამიანებს და არა დიდ ისტორიულ პიროვნებებს, რადგან მეცნიერულად დადგენილი მათი ცხოვრება და ღვაწლი ზღუდავს მხატვრის ფანტაზიას. ასეთი პიროვნებები მათ გამოჰყავთ უკვე ფორმირებული, საყოველთაოდ ცნობილი სახით იმ მისიის შესასრულებლად, რომელიც მათ ისტორიამ დააკისრა, თვით ისტორიული ცხოვრება, ისტორიული სინამდვილე კი წარმოდგენილია საშუალო ადამიანების სახით.

კ. გამსახურდია ამ პრინციპს გვერდს უხვევს და იძლევა მხოლოდ მეფეს, მის გარემოცვას—საერო და სასულიერო არისტოკრატიას. ამ სოციალური წრის ყოფის, განსაკუთრებით, გარეგნული ცხოვრების, ე. წ. საზეიმო-საპარადო მხარის აღწერილობაში ავტორი დიდ მხატვრულ ეფექტს ჰქმნის. არ არის შემთხვევითი, რომ ავტორი თავის მხატვრობის მთავარ ობიექტად ამ უმაღლეს სოციალურ წრეს გამოჰყოფს. კ. გამსახურდიას თითქმის ყველა ნაწარმოებში ახასიათებს განსაკუთრებული ინტერესი თანადროული თუ ისტორიული ცხოვრების დეკორატიულ-ესტეტიკური მხარისადმი, არაჩვეულებრივ ეგზოტიკურ მოვლენებისადმი. სასახლეების მორთულობა, დარბაზობა, ცერემონიალი, საეკლესიო და რაინდული რიტუალები, ნადირობა და ჯირითობა იშვიათი სიზუსტით და სიცხოველით მოცემული კ. გამსახურდიას ამ რომანში, ჰქმნის ფერადოვან, თვალისმომჭრელ ეგზოტიკურ სანახაობას, მაგრამ ხელს უშლის ადამიანის სულიერი ვითარების, ე. ი. ეპოქის სულის გახსნას.

ვლადიმერ მაჭავარიანის სიტყვა

დავით აღმაშენებლის უდიდესი ღვაწლი საქართველოს წინაშე ის არის, რომ მან ფეოდალური სახელმწიფოს შექმნითა და განმტკიცებით უზრუნველჰყო ჩვენი ერის არსებობა შემდგომ საუკუნეთა ისტორიულ ქარბუქის მეტად მძიმე პირობებში. ამიტომ რომანში პირველი ადგილი უნდა დათმობოდა არა „რომანიულ“ ხაზს, არამედ ისეთ ამბებს, როგორიცაა არის ყივჩაღთა გადმოსახლება საქართველოში, მსტოვართა ინსტიტუტის გაძლიერება, ჭყონდიდელისა და მწიგნობართუხუცესის თანამდებობათა ერთ ადამიანის ხელში გაერთიანება და ამით ცეზაროპაპიზმის პრაქტიკის ლიკვიდაცია და სხვ. ეს ფაქტები უნდა გახდეს რომანის წამყვანი, ფაბულარულ-სიუჟეტური კვანძი. ამ თვალსაზრისით ეჭვს იწვევს რომანიდან ის გარემოება, რომ დავითს ჭყონდიდელისა და ვაზირთა უპირველესის თანამდებობანი უკვე გაერთიანებული ხვდება. ეს შეცდომა დეტალს კი არ ეხება, არამედ პრინციპულ, დიდ საკითხს. ენა მუდმივ განვითარებას განიცდის, სპეციალისტთა მტკიცებით ჯერ ილიას შემდგომმა ქართულმა ოც პროცენტზე მეტი ახალი ცნებები და სიტყვები შეიძინა. ამ შემთხვევაში მწერლის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ეს პროცესი გარკვეულ კალაპოტით მიმართოს, მას ხელი შეუწყოს. ამისათვის მწერალი წინ უნდა იხედებოდეს და არა უკან. ჩვენი კამათი კ. გამსახურდიასთან იწყება იქ, სადაც იგი ცდილობს წარსული დროის მორფოლოგიური თუ სინტაქსური ნორმები აღადგინოს. ეს შეუძლებელი ამოცანაა. სინტაქსი და მორფოლოგია აზროვნების სიტყვიერი გამოვლინების გარკვეულ კანონზომიერების გამოხატულებაა. თანამედროვე ქართულის სინტაქსური და მორფოლოგიური ნორმები განსხვავდება XII საუკუნის ქართული ენის მორფოლოგიურ და სინტაქსურ ნორმებისაგან (მსაზღვრელ საზღვრულის ადგილი წინადადებაში, ბრუნვათა დაბოლოვება და სხვ.). ამიტომ ამაო და ფუჭი იქნება გვეცადნა XX საუკუნის ორმოციან წლებში XII საუკუნის სინტაქსური და მორფოლოგიური ნორმები აღგვედგინა.

კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვა

მე დიდის გულისყურით ვისმინე ჩვენი აკადემიკოსებისა, პროფესორებისა და მწერლების ცალკეული შენიშვნები. ცხადია, ზოგ მათგანს მე ანგარიშს გავუწევ.

ვუპასუხებ რა ოპონენტთა კონკრეტულ შენიშვნებზე, აკადემიკოს კ. კეკელიძის მისამართით შევნიშნავ, რომ ძველად ეპისკოპოსი დიდი ფეოდალიც იყო. ასე რომ დაკოჭლების გამო წარმოუდგენელი იქნებოდა მისი გადაყენება. გარდა ამისა, მაშინ მოქმედებდა არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილი მოციქულთა კანონი № 77, რომლის მიხედვით ფიზიკური დეფექტი ამა თუ იმ პირს ხელს არ უშლიდა ყოფილიყო დიდი თანამდებობის სასულიერო პირი. დავითს არისტოტელის ორგანონს არაბულად ვაკითხებ იმიტომ, რომ მე ეს მჭირდება რომანის მთლიანი კონცეპციისათვის. რაც შეეხება ეპისკოპოსთა ღრეობას, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს ხდება არა საჯაროდ, არამედ ქუთათელის ბაღში, ინტიმურ წრეში. ამასთან ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სასულიერო პირები იმდროინდელ საქართველოში იმდენად აღვირახსნილნი იყვნენ, რომ მემატიანემ მათ ქვაბ-ავაზაკნი შეარქვა.

აკადემიკოს ნ. კეცხოველის საგულისხმოდ უნდა ითქვას, რომ დავითი იმ კატეგორიის გმირია, რომელიც ფიზიკურად და სულიერად ადრე ვაჟკაცდება.

აკადემიკოსმა ს. ჯანაშიამ სთქვა, დავითი ვერ დაქორწინდებოდა დედისიმედზე, როგორც თავის ქვეშევრდომის ასულზეო. მაგრამ ლიპარიტის ქვეშევრდომობას იჭვს ქვეშ აყენებს მრავალი ცნობა. ერთი სომეხი ისტორიკოსი მას პირდაპირ „საქართველოს მეფეს“ უწოდებს. დავით აღმაშენებლის მიერ ჭყონდიდელის ინსტიტუტის შემოღების საბუთი, აკად. ი. ჯავახიშვილის მიერ წარმოდგენილი, მე ვერ ვიცანი შემაჯერებლად.

ქართულ რომანს ხანგრძლივი ტრადიციები აქვს, პირველი ქართული რომანი ლექსად იყო „ვეფხის-ტყაოსანი“. საბჭოურ პერიოდში მოხდა ქართული რომანის დამკვიდრება. მომავალი ისტორია ჩვენი ახალი მწერლობისა უკეთ განსჯის, ვის ექნება მეტი ხმა ამ ჟანრის წარმართვაში და ვინ მოახდენს მეტ ზეგავლენას. მე გამოვაქვეყნე მთელი სისტემა რომანებისა და ვნახოთ, ვისი გზით წარიმართება ქართული მწერლობა. მე ჩემი გზა და ჩემი მეთოდი მაქვს, და ნურავინ მოდის ჩემთან სხვა მწერლის პრაქტიკიდან და თეორიებიდან, ჩემი თხოვნაა ყველა ოპონენტისადმი—ნურც მკვდრებს დამატაკებთ, ნურც ცოცხლებს, ნურც ქართულის სწავლებას ინებებს ვინმე. ნურც იმის შიში ექნებათ, თითქოს მე რაიმე ხელს მიშლიდეს პოპულარობის მოსახვეჭად. მე არ ვიზიარებ ჩემი ოპონენტების თვალსაზრისს ლიტერატურული ენის ევოლუციის საკითხში. ნურავინ დარდობს, რომ მე ვერ გამიგებენ მკითხველები.

ბ. ჟღენტის საბოლოო სიტყვა

ბ. ჟღენტი თავის საბოლოო სიტყვაში ეკამათება უმთავრესად კ. გამსახურდიას და გადაჭრით უარჰყოფს მის მტკიცებას, თითქოს ის მაღალი დონე დისკუსიისა, რომელიც უჩვეულო პრინციპულ სიმაღლეზე აიყვანეს აკადემიკოსებმა და პროფესორებმა, ნელნელა ჩამოექვეითებინოს ზოგიერთ მწერალს. ყველა მწერლის გამოსვლა იყო უაღრესად პრინციპული, საქმიანი და კონკრეტული. ყოველი მათგანი მიზნად ისახავდა არა რაიმე დარიგების მიცემას და რომელიმე კლასიკოსის მხატვრული ხერხების კ. გამსახურდიისათვის თავზე მოხვევას, არამედ მხატვრული შემოქმედების იმ აქტუალური პრობლემების განხილვას და გარკვევას, რომლებსაც გვისახავს ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარება, კერძოდ „დავით აღმაშენებელი“. ბ. ჟღენტმა სწორად გამოხატა საერთო უკმაყოფილება, რომელიც გამოიწვია კ. გამსახურდიას მიერ ზოგიერთი ოპონენტის მიმართ აღებულმა შეუფერებელმა მკვახე ტონმა.

მთლიანად დისკუსია კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებლის“ გარშემო მეტად შინაარსიანი და საყურადღებო იყო.

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახლი), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 00010